ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2021 წლის11 ოქტომბრის N 198/01-01 და2021 წლის 13ოქტომბრის N 200/01-01 ბრძანებების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 ნოემბრის N 95/2021დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი **"4" დეკემბერი 2021 წ.**

13.00საათი, თსუ Iკორპუსი, არქეოლოგიის საგამოფენო დარბაზი

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 4 წევრი:პროფ. ვახტანგ ლიჩელი, კომისიის თავჯდომარე; ასოც. პროფესორი ზვიად კვიციანი, კომისიის თავჯდომარის მოადგილე; ანა თეთრუაშვილი, არქეოლოგიის დოქტორი, კომისიის მდივანი; პროფ. ალექსანდრე ნონეშვილი.

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის „გ" კატეგორია სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

Scanned with CamScanner

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, პროფ. ვახტანგ ლიჩელის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის „გ" კატეგორია 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - კონსტანტინე ფიცხელაურმა.

კონსტანტინე ფიცხელაურის შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3). გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე)დაუჭირა მხარი კონსტანტინე ფიცხელაურის კანდიდატურას.

დაადგინეს:

ს(ს)იპ –ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული

Scanned with CamScanner

პროფესორის 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: კონსტანტინე ფიცხელაური.

კომისიის თავმჯდომარე:

მოადგილე:

წევრები:

კომისიის მდივანი: ს. თეთრუაშვილი

თარიღი: 4.12.2021

Scanned with CamScanner